ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2020699

ნომერი: AR1327105

თარიღი : 15.07.2015

გაცემის თარიღი : 21.07.2015

გაცნობის თარიღი : 28.08.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბარათაშვილი , N 17 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ტალახაძე პ/ნ 01024051896
- თბილისი პეკინის გამზ. კორ. 33ა ბ. 3

ორგანიზაცია:

- შპს დრანქენ კოდი: 405104453

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ბარათაშვილის ქ, N 17–ში, დროებითი შენობა–ნაგებობის კონსტრუქციის კორექტირების საკითხს
გაცნობებთ, რომ საკითხის განხილვისას, სამსახურის მიერ, წარმოდგენილი საპროექტო წინადადების არსებულ გარემოსთან შეუსაბამობის გამო, არამიზანშეწონილად ჩაითვალა ქ. თბილისში, ბარათაშვილის ქ, N 17–ში, დროებითი შენობა–ნაგებობის კონსტრუქციის კორექტირების განხორციელება და, უფრო მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მისი განხორციელება სამსახურის მიერ შეთანხმებული (იხ. გადაწყვეტილება №1658112, 24.12.2014) ვარიანტის მიხედვით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თქვენი AR1327105, 15/07/2015 განცხადებით წარმოდგენილ თხოვნას ეთქვა უარი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.